ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ქართულ სამეცნიერო სივრცეში

თამთა ჭუმბაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
a-mail: tamta.tchumbadze@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ცნობილი ფილოსოფოსია, რომელიც მოღვაწეობდა რენესანსის ეპოქაში, 1463-1494 წლებში. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ფილოსოფიურ მიმდინა-რეობებს: სინკრეტიზმს - რელიგიათა ერთიანობას, ნატურფილოსოფიასა და ქრისტიანულ კაბალას, რომელიც არის საფუძველი დღევანდელი დასავლური მისტერიის ტრადიციისა. ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ მოიპოვება მირანდოლაზე მრავალი ინფორმაცია ნაშრომთა სიმწირის გამო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე არაფერია ქართულად დაწერი-ლი. მირანდოლას მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი და საერთო-საკაცობრიო ღირებულების შინაარსი ილია ჭავჭავაძემ (1837-1907), 1888 წელს, „ევერიაში“ კარგად გააცნო თავის მკითხველს.

ეთერ ჯაჭვაძე წიგნში „მშფოთვარე საუკუნე“ საუბრობს რენესანსის ეპოქის კორიფეების შესახებ, რომელთა გვერდითაც მოიხსენიებს ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას.

ქართული სამეცნიერო ნაშრომების განხილვისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ მარიამ კარბელაშვილსა და მის ნაშრომს - „რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ქრისტიანული საფუძვლები: რუსთაველი და პიკო დელა მირანდოლა“. ჭავჭავაძის მსგავსად კარბელაშვილი ეხება მირანდოლას ფილოსოფიის ძირითად ასპექტს - ადამიანს. კარბელაშვილი ჯერ განმარტავს რენესანსის არსს, რენესანსულ ანთროპოცენტრიზმს და ამის შემდეგ გადადის ჯოვანი პიკოს როლზე ამ სფეროში: კარბელაშვილმა პიკო ნამდვილად ძალზედ საინტერესო სახით წარმოადგინა, მან გამოყო მირანდოლას ფილოსოფიის მთავარი საკითხი - ადამიანის როლი სამყაროში და წინ დაუყენა შოთა რუსთაველის შეხედულებას ამავე საკითხზე და დაგვანახა, რომ ისინი იდენტურია.

საკვანძო სიტყვები: ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა, სინკრეტიზმი

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ცნობილი ფილოსოფოსია, რომელიც მოღვაწეობდა რენესანსის ეპოქაში, 1463-1494 წლებში. ის ცნობილი გახდა 1486 წლის მოვლენით, როცა მან

23 წლის ასაკში გადაწყვიტა რომში მოეწვია კრება და დაეცვა თავისი „900 თეზისი“ რელიგიის, ფილოსოფიისა და მაგიის შესახებ, შეკრებილ მოაზროვნეთა წინაშე. „900 თეზისით“ მირანდოლამ ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი - სინკრეტიზმს, რელიგიათა ერთია-ნობას. თუმცა მეცნიერებმა ის გაიცნეს არა „900 თეზისით“, არამედ იმ ტექსტის წყალობით, რაც წარმოადგენდა „900 თეზისის“ მოკლე შინაარსს, ეს იყო შესავალი, რომელიც მას უნდა წაეკითხა კრების დაწყების დროს, ეს ტექსტი იყო „სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ“. მირანდოლამ დიდი წვლილი შეიტანა ჰუმანისტური ფილოსოფიის განვითარებაში და სრულიად ახალი მოსაზრებები დაამკვიდრა არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ თეოლოგიაშიც. ამ ადამიანის ფილოსოფია ეხებოდა და მოიცავდა თითქმის ყველა სფეროს, რასაც კი შეიძლება ფილოსოფია ეხებოდეს. მან დაწერა მრავალი ნაშრომი, (მაგ. რამოდენიმე მათგანი: 900 თეზისი” (Conclusiones philosophicae, cabalisticae et teologicae), “სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ” (Oratio de hominis dignitate), „აპოლოგია“ (Apologia), “ჰეპტაპლუსი (შვიდდღიური)” (Heptaplus) – 1484 „ზოგადისა და ერთიანის შესახებ“ (De ente et uno) – 1492 და ა.შ.) რომელთა წყალობითაც დაამკვიდრა სრულიად ახალი იდეები და მიმდინარეობები ფილოსოფიაში, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ კაბალას, ნატურფილოსოფიასა და სინკრეტიზმს. სწორედ სინკრეტიზმის გამო, ჩვენი აზრით, მირანდოლა დღესდღეობითაც ძალზედ აქტუალური უნდა იყოს, რადგან, ის XXI ს-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემის, გლობალიზაციის მთავარი ნაწილია. გლობალიზაცია მოიცავს სამ უმთავრეს ასპექტს, ესენია: ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, ერთ ნაციად, მსოფლიო ნაციად ჩამოყალიბება და ერთი საერთო რელიგია, რაც რეალურად ყველაზე რთულ საკითხს წარმოად-გენს გლობალიზაციაში. მირანდოლას სინკრეტიზმი კი სხვა არაფერია, თუ არა რელიგიათა ერთიანობა.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ მოიპოვება მირანდოლაზე მრავალი ინფორმაცია ნაშრომთა სიმწირის გამო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე არაფერია ქართულად დაწერილი, უნდა ითქვას, რომ თითოეულ მათგანში მირანდოლას სხვადახვა ნაშრომებია განხილული, რაც დიდ პლიუსად მიგვაჩნია.

როცა ვახსენებთ ქართულ სამეცნიერო ნაშრომს ჯოვანი პიკო დელა მირანდოლაზე, არ შეიძლება მაგალითად არ მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძე. მირანდოლას მემკვიდრეობის უმნიშვნე-ლოვანესი და საერთო-საკაცობრიო ღირებულების შინაარსი ილია ჭავჭავაძემ (1837-1907), 1888 წელს, „ივერიაში“ კარგად გააცნო თავის მკითხველს. განიხილავდა რა

აღორძინების ეპოქას, ილია წერდა: „ამ საუკუნემ ახალი თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა. ჰუმანიზმის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო, ამბობს ერთი მწერალი, რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალით უყურებდეს, იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემული იყოს და არანაკლებ ღრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქნას ერთიანად და გამოუკლებლივ. ეს პატივისცემა ადამიანის ღირსებისა დაიწერა თავის დროშაზედ ჰუმანობის მოძღვრებამ და ეს მოძღვრება გარკვევით გამოთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა ჰუმანისტმა პიკოდელა მირანდოლამ 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით, აი რას უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს ადამსა: „მე შენთვის, ადამო, არავითარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამოდ უცვალებელი საქმე არ ამიჩენია ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიამოს იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშვნიხარ. ეს იმიტომ, რომ შენ თვითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა გსურს. შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდინაცზე ახვიდე“ [თევზაძე, 2008. 45-46].

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ნათლად გადმოსცემს მირანდოლას ფილოსოფიის ძირითად არსს, მირანდოლა ეხებოდა არა მარტო ადამიანის როლს სამყაროში, არამედ თითქმის ყველაფერს რასაც კი შეიძლება ფილოსოფია გასწვდეს, ფილოსოფია კი, ყველაფერს მოიცავს.

მეორე წყარო, რომელიც გვინდა ვახსენოთ არის ეთერ ჯაჭვაძის წიგნი „მშფოთვარე საუკუნე“, რომელშიც ის საუბრობს რენესანსის ეპოქის კორიფეებზე, რომელთა გვერდითაც მოიხსენიებს ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას. ის მოკლედ აღწერს მირანდოლას საუნივერსიტეტო ცხოვრებას, საუბრობს მის უაღრესად ღრმა განათლებაზე, ჩამოთვლის ნაშრომებს, რომელთაგან უფრო დიდ ყურადღებას უთმობს „სიტყვას ადამიანის ღირსების შესახებ“ და „ზოგადისა და ერთიანის შესახებ“. ამ უკანასკნელს ავტორი უფრო სიღრმისეულად განიხილავს, რის საფუძველზეც გვიქმნის წარმოდგენას მირანდოლას შეხედულებებსა და მსოფლმხედველობასა და იმაზე, თუ რა ადგილი ეჭირა ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას შუასაუკუნეების ფილოსოფოსთა შორის [ჯაჭვაძე,2009,54.56].

ქართული სამეცნიერო ნაშრომების განხილვისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ მარიამ კარბელაშვილსა და მის ნაშრომს - „რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ქრისტიანული საფუძვლები: რუსთაველი და პიკო დელა მირანდოლა“. ჭავჭავაძის მსგავსად კარბელაშვილი ეხება მირანდოლას ფილოსოფიის ძრითად ასპექტს - ადამიანს. იგი ჯერ განმარტავს რენესანსის არსს, რენესანსულ ანთროპოცენტრიზმს და ამის შემდეგ გადადის მირანდოლას როლზე ამ სფეროში: - კარბელაშვილი ასახელებს მირანდოლას რენესანსული ანთროპოცენტრიზმის საფუძველს - ბიბლიას, შესაქმის პირველ თავს და მეტი დამაჯერებლობისათვის ურთავს მონაკვეთს მირანდოლას „სიტყვიდან“ ბიბლიური პარალელით, რომელზე დაყრდნობით ის ავლებს პარალელებს „ვეფხისტყაოსანთან“, პროლოგის პირველ სტროფთან, „სადაც იგივე აზრი რუსთველური შაირის მკაცრ ფორმაშია ჩამოსხმული. აქ წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი ტრიადა: „ღმერთი-სამყარო-ადამიანი“ და აქცენტი გაკეთებულია ამქვეყნიური ცხოვრების უპირველეს ღირებულებაზე, რადგან ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“[კარბელაშვილი] ასეთ ფორმულირებას XII საუკუნის ქრისტიანულ სამყაროში - აღმოსავლურშიც და დასავლურშიც - პარალელი არ მოეპოვება და რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ეს ნიმუში სრულიად უნიკალურია. რუსთაველის ანთროპოლოგიის სრული დამთხვევა მირანდოლას ანთროპოლოგიასთან ნაძალადევი პარალელის მოძების ცდა კი არ არის, არამედ სათანადო მეცნიერული ფაქტებით დადასტურებული რეალობა, დაფიქსირებული რუსთველოლოგიაში ამ მეცნიერების დაფუძნების დროიდან-1712 წლიდან“ [კარბელაშვილი,2012.161.162]. კარბელა-შვილი თავის ნაშრომში მსჯელობს იმის შესახებ, რომ მირანდოლასა და რუსთაველს ღმერთის მიერ ადამიანის შექმნა და მისი ადგილი სამყაროში გააზრებული აქვთ ერთნაირად და ერთნა-ირადაც გადმოსცემენ ამას „სიტყვაში ადამიანის ღირსების შესახებ“ და ვეფხისტყაოსანში.“ (კარბელაშვილი, 2010) როგორც ხედავთ კარბელაშვილმა გამოყო მირანდოლას ფილოსოფიის მთავარი საკითხი - ადამიანის როლი სამყაროში და წინ დაუყენა შოთა რუსთაველის შეხედულებას ამავე საკითხზე და დაგვანახა, რომ ისინი იდენტურია.

მირანდოლას ფილოსოფიის მთავარ ასპექტს შეეხო ფარნაოზ ლომაშვილი თავის წიგნში „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია“. ლომაშვილმაც, ჭავჭავაძისა და კარბლეშვილის მსგავსად, განიხილა ის ნაწილი, რაც მირანდოლას დაწერილი აქვს ბიბლიაზე, შესაქმის პირველ თავზე დაყრდნობით: „მირანდოლა, მაგალითად ამტკიცებდა, რომ ადამიანი არის ღმერთის უმაღლესი და საგანგებო ქმნილება, რომლის დანიშნულებაა არა მარტო სამყაროსა

და საკუთარი თავის შემეცნება, არამედ თავისი ამქვეყნიური ბედნიერების რეალიზაციაც. „თავისი შემოქმედების უკანასკნელ დღეს, - წერდა მირანდოლა, - ღმერთმა შექმნა ადამიანი იმისათვის, რომ მან შეიმეცნოს სამყაროს კანონზომიერება, შეიყვაროს მისი (სამყაროს) სილამაზე, აღტაცებაში მოვიდეს მისი სიდიადით“ [ლომაშვილი,2003.]

მირანდოლა გახლდათ პიროვნება რომელმაც სრულიად ახალი ფილოსოფიური და რელიგიური იდეები ჩამოაყალიბა, მან საფუძელი ჩაუყარა ქრისტიანულ კაბალას, სინკრეტიზმსა და ნატურფილოსოფიას. მირანდოლა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გააცოცხლა ანტიკურ-ბერძნული ფილოსოფიის ჰუმანიზმი, მას ასევე სჯეროდა, რომ თითოეულ რელიგიაში იყო ჭეშმარიტების მარცვალი, ამიტომ სცადა შეექმნა მასშტაბური სინთეზი რელიგიებისა და ფილოსოფიის, მათ შორის პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებაზე დაყრდნობით. მისი ეს ნააზრევი იმ დროს არსებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობისაგან და დოგმატიკური რელიგიისაგან განსხვავდებოდა, რაც ძალზედ საინტერესოს ხდის მირანდოლას პიროვნებას.

ლიტერატურა:

1. **გ. თევზაძე.** აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარსილიო ფიჩინოდან იაკობ ბოემემდე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი. 2008.

2. **გ. თევზაძე.** შუა საუკუნეების ისტორიის ფილოსოფია. თსუ გამომცემლობა. 1996.

3. **ი. ჭავჭავაძე.** გაზ.“ივერია“. 1888 წელი

4. **მ.კარბელაშვილი.** რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ქრისტიანული საფუძვლები: რუსთაველი და პიკო დელა მირანდოლა. III საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები''. სიმპოზიუმის მასალები. თბილისი 2010

5. **ფ. ლომაშვილი.** ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. ტომი I. გამომცემლობა „ივერია“. თბილისი, 2003

6. **ე.ჯაჭვაძე.** მშფოთვარე საუკუნე. გამომცემლობა „მერიდიანი''. თბილისი. 2009 .

7. **M. V. Dougherty**, ed. Pico Della Mirandola. New Essays. Cambridge University Press, Cambridge, New York, 2008.

8. **S.A. Farmer.** Sincretism in the west: Pico’s 900 Theses (1486). The Evolution of Tradicional Religious and Philosophical Systems Medieval & Renaissance texts & studies. Tempe, Arizona. 1998

9. **Л. М. БРАГИНА.** ЭТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ ДЖОВАННИ ПИКО ДЕЛЛА МИРАНДОЛА. АКАДЕМИЯ НАУК СССР. ИНСТИТУТ ИСТОРИИ. СРЕДНИЕ ВЕКА. СБОРНИК. ВЫПУСК 28. МОСКВА: ИЗДАТЕЛЬСТВО" НАУКА". 1965.

Tamta Chumbadze

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Giovanni Pico della Mirandola in Georgian Scientific Field

Abstract

Giovanni Pico della Mirandola is a very famous philosopher who worked during the Renaissance, 1463-1494. He laid the foundation for new philosophical currents: syncretism, natural philosophy, and Christian Kabbalah, which is the basis of today's Western mystery tradition.

There is not much information about Mirandola in the Georgian scientific space due to the scarcity of works, although this does not mean that there is nothing written about him in Georgian, it should be said that different works of Mirandola are discussed in each of them, although the main idea of Mirandola's philosophy is conveyed in each of them.

When we mention the Georgian scientific work on Giovanni Pico della Mirandola, we cannot fail to cite Ilia Chavchavadze as an example. Ilia Chavchavadze (1837-1907), in 1888, in "Iveria" well introduced his readers to the content of the most important and common human value of Mirandola's legacy.

The second source that we would like to mention is Eter Jachvadze's book "The Stormy Age", in which he talks about the luminaries of the Renaissance era, alongside whom he mentions Giovanni Pico della Mirandola.

When discussing Georgian scientific works, we must mention Mariam Karbelashvili and her work - "Christian foundations of Renaissance anthropocentrism: Rustaveli and Pico della Mirandola". Like Chavchavadze, Karbelashvili deals with the driving aspect of Mirandola's philosophy - human. Karbelashvili first explains the essence of Renaissance, Renaissance anthropocentrism, and then moves on to Giovanni Pico's role in this field: "The complete coincidence of Rustaveli's anthropology with Pico della Mirandola's anthropology is not an attempt to find a violent parallel, but a reality confirmed by appropriate scientific facts, recorded in Rustaveliology since the foundation of this

science. Ms. Mariami discusses in her work that Pico della Mirandola and Rustaveli have understood the creation of man by God and his place in the world in the same way, and they convey this in the "Speech about the Dignity of Man" and in The Leopard. As you can see, Karbelashvili presented Pico in a very interesting way. He singled out the main issue of Mirandola's philosophy - the role of man in the world and put forward Shota Rustaveli's view on the same issue and showed us that they are identical

Key words: Giovanni Pico della Mirandola, syncretism.